ხელშეკრულება 0616/01

სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრირებად მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში ფიზიკურ პირებზე არსებული ინფორმაციის მოქალაქის ელექტრონული პორტალის ფარგლებში სსიპ– მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი 09 ივნისი 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში- „**სამინისტრო**“), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით, ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო (**შემდგომში - „სააგენტო“**), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში – „**მონაცემთა გაცვლის სააგენტო**“), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის **ირაკლი გვენეტაძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის №228 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „სააგენტოს“ ადმინისტრირებადი მონაცემთა ელექტრონული ბაზებიდან „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის“ ელექტრონული სერვისების ერთიან ელექტრონულ ვებ-რესურსზე - „მოქალაქის ელექტრონული პორტალი“ (შემდგომში - „პორტალი“ – www.my.gov.ge) რეგისტრირებული/იდენტიფიცირებული და ავტორიზირებული პირების შესახებ (შემდგომში - „მომხმარებელი“) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციისა და ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის და/ან

ქვემოთ ჩამოთვლილი ბენეფიტ(ებ)ით (შემდგომში ტექსტში ერთობლივად წოდებული - „სახელმწიფო გასაცემელი") სარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება:

ა) სოციალური დახმარებები (საარსებო შემწეობა, სოციალური პაკეტი);

ბ) სახელმწიფო გასაცემლები (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია);

გ) შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო დახმარება.

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტში მითითებული ინფორმაციის მოცულობა, სტრუქტურა და მისი სხვა მახასიათებლები აღწერილია ამ ხელშეკრულების N1 და N2 დანართებში.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

2.1. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის" ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს" ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (შემდგომში - ინფრასტრუქტურა) მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მის შეუფერხებელ და გამართულ მუშაობას.

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა;

2.3. „სამინისტრო" ამ ხელშეკრულების ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უკავშირდება „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" უფლებამოსილ წარმომადგენელს, რის შემდეგაც, მხარეები ერთობლივად, დაკავშირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირ(ებ)ის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

3.2. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მხარეები ერთმანეთს უგზავნიან წერილს უფლებამოსილი პირ(ებ)ის განსაზღვრის თაობაზე. უფლებამოსილი პირ(ებ)ის შეცვლა/დამატება აგრეთვე შესაძლებელია მხარისათვის წერილის გაგზავნით.

3.3. უფლებამოსილი პირ(ებ)ის განსაზღვრის (გამოყოფის) და/ან შეცვლის საკითხები რეგულირდება მხარისათვის წერილის გაგზავნით და არ საჭიროებს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანას.

მუხლი 4. ელექტრონული სერვისები

4.1. პორტალის მეშვეობით, მომხმარებლისათვის ამ მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ხორციელდება „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ პორტალზე მომხმარებლის ავტორიზაციისა და იდენტიფიცირების შემდგომ, მომხმარებლის მიერ სერვისის ინიცირების შედეგად.

4.2. პორტალზე მომხმარებლის ავტორიზაციის შემდეგ, მას საშუალება ექნება მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია (ელექტრონულ სერვისები):

ა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა), მოქმედი სარეიტინგო ქულის და არსებობის შემთხვევაში წინა სარეიტინგო ქულების შესახებ ინფორმაცია (N1 დანართის შესაბამისად);

ბ) სახელმწიფო გასაცემლ(ებ)ით უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია (N2 დანართის შესაბამისად).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „სააგენტო“ ვალდებულია:

ა) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ პორტალის საშუალებით, მომხმარებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვისას, უზრუნველყოს „სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მომხმარებლისთვის მიწოდება, „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ პორტალის მეშვეობით, ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და დანართ(ებ)ის (დანართი N1 და N2) შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ პორტალის საშუალებით მომხმარებლისათვის მიწოდებულ და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (ბაზებში) დაცულ ინფორმაციას შორის ურთიერთშესაბამისობა;

გ) ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული სერვისების შინარსობრივი ან/და ლოგიკური ნაწილის ცვლილება განახორციელოს მხოლოდ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან შეთანხმებით;

დ) მოქალაქის შესახებ გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, სააგენტოსთვის კომუნიკაციაზე უფლებამოსილ პირთან სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაკავშირების საფუძველზე, გადაამოწმოს სააგენტოში დაცული შესაბამისი ინფორმაცია და შედეგები არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე (18 საათამდე ყოველდღე შაბათ–კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა) ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს;

5.2. „სააგენტო“ უფლებამოსილია:

ა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი დასრულების შემდგომ,

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა;

ბ) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსგან“ მიიღოს ინფორმაცია, ინფრასტრუქტურაზე წვდომის და/ან პორტალზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების და/ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, შეფერხებამდე/ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

გ) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მოსთხოვოს ამ მუხლის 5.3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

5.3. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) პორტალის გამოყენებით მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია „სააგენტოდან“ გამოითხოვოს მხოლოდ მომხმარებლის მიერ პორტალზე ავტორიზაციის გავლისა და ელექტრონული სერვისის ინიცირების შემდეგ და არ დაუშვას „სააგენტოს“ მიერ პორტალის საშუალებით მომხმარებლისათვის მიწოდებული მონაცემების შენახვა ან/და კოპირება;

გ) „სააგენტოს“ მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაცია, მოთხოვნილი ფორმით;

დ) არ დაუშვას „სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაზე (ბაზებზე) მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ;

ე) უზრუნველყოს „სააგენტოს“ მიერ პორტალის საშუალებით მომხმარებლისათვის გასაგზავნი მონაცემების უცვლელად მიწოდება მომხმარებლისთვის;

ვ) საკუთარ ინფრასტრუქტურაზე წვდომის და/ან პორტალზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „სააგენტოს“ და „სამინისტროს“, შეფერხებამდე/ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ზ) შეიმუშაოს და www.my.gov.ge-ზე განათავსოს „მოქალაქის პორტალის გამოყენების წეს(ებ)ი და პირობები“, რომელიც პორტალის გამოყენების სხვა დებულებებთან ერთად, მოიცავს მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისა და ავტორიზაციის პროცედურის გავლის წეს(ებ)ს, აგრეთვე, მომხმარებლის მიერ პორტალის საშუალებით ელექტრონული სერვისების გამოძახების/ინიცირების პროცედურებს;

თ) ხელშეკრულების ფარგლებში აღრიცხოს მე-4 მუხლით გათვალისწინებული სერვისებით სარგებლობის სტატისტიკური ინფორმაცია 1 (ერთი) წლის ვადით, შესაბამისი პერიოდების (თარიღი და დრო) მიხედვით;

5.4. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტის მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის მიღების ან

პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და მიიღოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია.

5.5. „სამინისტრო“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშერულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

ბ) უზრუნველყოს „სამინისტროს“ ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და ხელშეკრულების მხარეთა მიერ „სამინისტროს“ ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის ტექნიკური მხარდაჭერა;

დ) „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ აცნობოს „სამინისტროს“ ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.6. „სამინისტრო“ უფლებამოსილია, „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მოსთხოვოს ამ მუხლის 5.3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. ამ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. თუ ამ მუხლის 8.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ეს ხელშეკრულება გაგრძელებულად ითვლება 1 წლის ვადით. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა მოქმედებს ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის ამოწურვისას.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი 9. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 7 (შვიდი) ფურცლად, ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

9.2. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

9.3. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

თენგიზ აბაზაძე
დირექტორის მოადგილე

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699

ირაკლი გვენეტაძე
თავმჯდომარე

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ოჯახის, რომელშიც რეგისტირებულია პიროვნება სრული ინფორმაცია, წინა პერიოდის სარეიტინგო ქულები და ბოლო 6 თვის გადარიცხვები, სოციალური დახმარების - საარსებო შემწეობის.

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml შაბლონით:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_GetFamilyScoreFullInfo</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID>DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value>DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_GetFamilyScoreFullInfo:v1">
      <PrivateNumber>PrivateNumber</PrivateNumber>
      <UserName>UserName</UserName>
      <Password>Password</Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

Response.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_GetFamilyScoreFullInfo</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
      <GatewayTimestamp>Gateway Timestamp</GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <FamilyScoreFullInfo xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance"
xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_GetFamilyScoreFullInfo:v1" >
      <ResultStatus>
```

```
      <StatusCode>Status Code</StatusCode>
      <StatusDescription>Status Description</StatusDescription>
    </ResultStatus>
    <FamilyNumber>Family Number</FamilyNumber>
    <FamilyAddress>Family Address</FamilyAddress>
    <AuthorisedPersonFullName>Family Authorised Person Full Name </AuthorisedPersonFullName>
    <Persons>
      <Person>
        <PrivateNumber> PrivateNumber </PrivateNumber>
        <LastName> LastName </LastName>
        <FirstName> FirstName </FirstName>
        <BirthDate> BirthDate </BirthDate>
        <Sex>Sex</Sex>
      </Person>
    . . . . . .
      <Person>
        <PrivateNumber> PrivateNumber </PrivateNumber>
        <LastName> LastName </LastName>
        <FirstName> FirstName </FirstName>
        <BirthDate> BirthDate </BirthDate>
        <Sex>Sex</Sex>
      </Person>
    </Persons>
    <Score>Family Score</Score>
    <DeklarationFillingDate> Declaration Filling Date </DeklarationFillingDate>
    <LegalScoreDate> Legal Score Date </LegalScoreDate>
    <LastBankTransfers>
      <BankTransfer>
        <OperationDate> Operation Date </OperationDate>
        <Amount>Amount</Amount>
      </BankTransfer>
    . . . . . .
      <BankTransfer>
        <OperationDate> Operation Date </OperationDate>
        <Amount>Amount</Amount>
      </BankTransfer>
    </LastBankTransfers>
    <PreviousScores>
      <FamilyScore>
        <Score> Score </Score>
        <DeklarationFillingDate> Declaration Filling Date </DeklarationFillingDate>
        <LegalScoreDate> Legal Score Date </LegalScoreDate>
      </FamilyScore>
    . . . . . .
      <FamilyScore>
        <Score> Score </Score>
        <DeklarationFillingDate> Declaration Filling Date </DeklarationFillingDate>
        <LegalScoreDate> Legal Score Date </LegalScoreDate>
      </FamilyScore>
    </PreviousScores>
  </FamilyScoreFullInfo>
 </Body>
</GovTalkMessage>
```


მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** <Body></Body> მოთავსებულია სერიალიზირებული `FamilyScoreFullInfo` კლასი (იხ. გვ. 5)

მოთხოვნის პასუხის სტატუსის (სერიალიზირებული `ResultStatus` კლასი) მნიშვნელობები მოცემული ცხრილი 1

ოპერაციის გამოძახების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

FamilyScoreFullInfo კლასის აღწერა

```
/// <summary>
/// პასუხი მოთხოვნაზე
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;                 // ოპერაციის სტატუსი
    string StatusDescription;       // ოპერაციის სტატუსის განმარტება
}

/// <summary>
/// პიროვნება
/// </summary>
public class Person
{
    string PrivateNumber;       // პირადი ნომერი
    string LastName;            // გვარი
    string FirstName;           // სახელი
    DateTime BirthDate;         // დაბადების თარიღი
    int Sex;                    // სქესი: 0-მდ, 1-მამრ
}

/// <summary>
/// ოჯახის სრული ინფორმაცია (ამონაწერი) სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში
/// </summary>
public class FamilyScoreFullInfo
{
    ResultStatus ResultStatus;   // ოპერაციის სტატუსი

    string FamilyNumber;                        // ოჯახის იდენტიფიკატორი (12 ციფრი)
    string District;                            // რაიონი
    string FamilyAddress;                       // ფაქტიური მისამართი
    string AuthorisedPersonPrivateNumber;       // უფლებამოსილი პირის პირადი ნომერი
    string AuthorisedPersonFullName;            // უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი
    string FamilyPhones;                        // უფლებამოსილი პირის ტელეფონის ნომერი/ნომრები
    int? Score                                  // ოჯახის ქულა
    DateTime? DeklarationFillingDate            // დეკლარაციის შევსების თარიღი
    DateTime? LegalScoreDate                    // ქულის მინიჭების თარიღი

    List<Person> Persons;                       // ოჯახში შემავალი წევრების კოლექცია
    List<BankTransfer> LastBankTransfers        // წინა გადარიცხვების კოლექცია
    List<FamilyScore> PreviousScores            // წინა ქულების კოლექცია
}


/// <summary>
/// ოჯახის ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში
/// </summary>
public class FamilyScore
{
    int? Score                                  // ქულა
    DateTime? DeklarationFillingDate            // დეკლარაციის შევსების თარიღი
    DateTime? LegalScoreDate                    // ქულის მინიჭების თარიღი
}

/// <summary>
/// საარსებო შემწეობის თანხის გადარიცხვა
/// </summary>
```

```
public class BankTransfer
{
    DateTime OperationDate                    // ოპერაციის თარიღი
    decimal Amount                            // თანხა
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	არასწორი მომხარებლის სახელი/პაროლი
შეცდომა	-1	ტექნიკური მიზეზების გამო ინფორმაცია დორეგით მიუწვდომელია
შეცდომა	-1	პიროვნება მოძებნილია ერთზე მეტ აქტიურ ოჯახში
შეცდომა	-1	არასწორი პირადი ნომერი/ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერი
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	0	თქვენს მიერ დაფიქსირებული პირადი ნომერი არ მოიძებნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში
	0	საიდენტიფიკაციო კოდზე შევსებულია ოქმი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ
	1	ოპერაცია დამთავრდა წარმატებით

StatusCode = 0 შემთხვევაში ოჯახის შესახებ ინფორმაცია არ იქნება შევსებული შემდეგი ველები:

```
District;                          // რაიონი
FamilyAddress;                     // ფაქტიური მისამართი
AuthorisedPersonPrivateNumber;     // უფლებამოსილი პირის პირადი ნომერი
AuthorisedPersonFullName;          // უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი
FamilyPhones;                      // ოჯახისტელეფონის ნომერი/ნომრები
Score                              // ოჯახის სარეიტინგო ქულა
DeklarationFillingDate             // დეკლარაციის შევსების თარიღი
LegalScoreDate                     // ქულის მინიჭების თარიღი

List<Person> Persons = null;       // ოჯახში შემავალი წევრების კოლექციას
```

თუ არ არსებობს წინა გადარიცხვა ან წინა სარეიტიგო ქულები, შესაბამისად **LastBankTransfers** და **PreviousScores** იქნება null

სახელმწიფო გასაცემელთა მონაცემთა ბაზასთან ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

სახელმწიფო გასაცემლების (სოციალური დახმარება - სოციალური პაკეტი, სახელმწიფო გასაცემლები - სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, და შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო დახმარება) **მონაცემთა ბაზიდან ინფორმაცია დანიშნული სახელმწიფო გასაცემლის/გასაცემლების შესახებ, ბოლო 6 თვის გადარიცხვები.**

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml შაბლონით:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_ GetPayoutExtendedInfo</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID>DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value>DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_GetPayoutExtendedInfo:v1">
      <PrivateNumber>PrivateNumber</PrivateNumber>
      <UserName>UserName</UserName>
      <Password>Password</Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

Response.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_GetPayoutExtendedInfo</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>Corelation Id</CorrelationID>
      <GatewayTimestamp>Gateway Timestamp</GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <PayoutExtendedInfo xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_GetPayoutExtendedInfo:v1"
xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema" xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance">
      <ResultStatus>
        <StatusCode>Status Code</StatusCode>
        <StatusDescription>Status Description</StatusDescription>
      </ResultStatus>
```

```
  <ReportingMonth> Reporting Month </ReportingMonth>
  <LastTransaction> Last Transaction </LastTransaction>
 <Person>
    <PrivateNumber> Private Number </PrivateNumber>
    <LastName> Last Name </LastName>
    <FirstName> First Name </FirstName>
    <BirthDate>Birth Date</BirthDate>
 </Person>
 <Guardian>
    <PrivateNumber> Private Number </PrivateNumber>
    <LastName> Last Name </LastName>
    <FirstName> First Name </FirstName>
    <BirthDate>Birth Date</BirthDate>
 </Guardian>
 <RegisterDistrict> Register District </RegisterDistrict>
 <AssignedPayouts>
   <PayoutDetails>
     <PayoutName> PayoutName </PayoutName>
     <PayoutGrant> PayoutGrant </PayoutGrant>
     <PayoutAmount> PayoutAmount </PayoutAmount>
     <PayoutType> PayoutType </PayoutType>
     <PayoutBasis> PayoutBasis </PayoutBasis>
     <CaseNumber> CaseNumber </CaseNumber>
     <Valid> Valid </Valid>
     <InvalidityGroup> Invalidity Group </InvalidityGroup>
   </PayoutDetails>
 .. .. .. .. .. .. .. .. .. ..
 <PayoutDetails>
    <PayoutName> PayoutName </PayoutName>
    <PayoutGrant> PayoutGrant </PayoutGrant>
    <PayoutAmount> PayoutAmount </PayoutAmount>
    <PayoutType> PayoutType </PayoutType>
    <PayoutBasis> PayoutBasis </PayoutBasis>
    <CaseNumber> CaseNumber </CaseNumber>
    <Valid> Valid </Valid>
    <InvalidityGroup> Invalidity Group </InvalidityGroup>
 </PayoutDetails>
</AssignedPayouts>
<PaymentsDetails>
  <PaymentDetails>
    <PaymentMonth> Payment Month </PaymentMonth>
    <PaymentsDetailses>
      <PayoutFullDetails>
        <PayoutName> Payout Name </PayoutName>
        <PayoutGrant> Payout Grant </PayoutGrant>
        <PayoutAmount> Payout Amount </PayoutAmount>
        <PayoutType> Payout Type </PayoutType>
        <PayoutBasis> Payout Basis </PayoutBasis>
        <CaseNumber> CaseNumber </CaseNumber>
        <Valid> Valid </Valid>
        <InvalidityGroup> Invalidity Group </InvalidityGroup>
        <TransferedAmount> TransferedAmount </TransferedAmount>
      </PayoutFullDetails>
    </PaymentsDetailses>
 </PaymentDetails>
.. .. .. .. .. .. .. .. .. ..
 <PaymentDetails>
   <PaymentMonth> Payment Month </PaymentMonth>
   <PaymentsDetailses>
     <PayoutFullDetails>
       <PayoutName> Payout Name </PayoutName>
       <PayoutGrant> Payout Grant </PayoutGrant>
       <PayoutAmount> Payout Amount </PayoutAmount>
       <PayoutType> Payout Type </PayoutType>
       <PayoutBasis> Payout Basis </PayoutBasis>
```

```
                <CaseNumber> CaseNumber </CaseNumber>
                <Valid> Valid </Valid>
                <InvalidityGroup> Invalidity Group </InvalidityGroup>
                <TransferedAmount> TransferedAmount </TransferedAmount>
              </PayoutFullDetails>
            </PaymentsDetailses>
          </PaymentDetails>
        </PaymentsDetails>
      </PayoutExtendedInfo>
    </Body>
    <GovTalkDetails></GovTalkDetails>
  </GovTalkMessage>
```

მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `PayoutExtendedInfo` კლასი (იხ. გვ. 5)

მოთხოვნის პასუხის სტატუსის (სერიალიზირებული `ResultStatus` კლასი) მნიშვნელობები მოცემული **ცხრილი #1**

ოპერაციის გამოძახების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

PayoutExtendedInfo კლასის აღწერა

```
/// <summary>
/// პასუხი მოთხოვნაზე
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;                                  // ოპერაციის სტატუსი
    string StatusDescription;                        // ოპერაციის სტატუსის განმარტება
}

/// <summary>
/// ინფორმაცია სახელმწიფო გასაცემლების შესახებ, წინა 6 თვის გადარიცხვები
/// </summary>
public class PayoutExtendedInfo
{
    public ResultStatus ResultStatus                 // ოპერაციის სტატუსი
    public Person Person                             // პიროვნება
    public DateTime? ReportingMonth                  // საანგარიშგებო თვე
    public DateTime? LastTransaction                 // ბოლო ჩარიცხვა
    public string RegisterDistrict                   // რეგისტრაციის რაიონის დასახელება
    public List<PayoutDetails> AssignedPayouts       // დანიშნული გასაცემლები
    public Person Guardian                           // მეურვე
    public List<PaymentDetails> PaymentsDetails      // წინა პერიოდის გადარიცხვები
}

/// <summary>
/// გადარიცხვა დეტალურად
/// </summary>
public class PaymentDetails
{
    public DateTime? PaymentMonth                    // გადარიცხვის პერიოდი
    public List<PayoutFullDetails> PaymentsDetailses// გასაცემლების სრული ინფორმაციის კოლექცია
}

/// <summary>
/// გასაცემელი დეტალურად სრულად
/// </summary>
public class PayoutFullDetails : PayoutDetails
{
    public double? TransferedAmount                  // გადარიცხული თანხა
}

/// <summary>
/// გასაცემელი დეტალურად
/// </summary>
public class PayoutDetails
{
    public string PayoutName                         // გასაცემლის დასახელება
    public DateTime? PayoutGrant                     // დანიშვნის თარიღი
    public double? PayoutAmount                      // დანიშნული თანხა
    public string PayoutType                         // გასაცემლის ტიპი
    public string PayoutBasis                        // საფუძველი
    public string PayoutDescription                  // განმარტება
    public string CaseNumber                         // საქმის ნომერი
    public DateTime? Valid                           // მოქმედია
    public string InvalidityGroup                    // ინვალიდობის ჯგუფი
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	არასწორი მომხარებლის სახელი/პაროლი, ან დაშვება შეზღუდულია
შეცდომა	-1	არასწორი პირადი ნომერი/ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერი
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	0	არ მოიძებნა სახელმწიფო გასაცემლების მონაცემთა ბაზაში
	1	ოპერაცია დამთავრდა წარმატებით

მეურვის არ არსებობის შემთხვევაში **Guardian** ობიექტის ყველა ველი ცარიელია.